სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/22

ქ. თბილისი 17 აპრილი 2024

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების 48-ე მუხლის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს 2024 წლის 11 მარტის №01-05-04/23 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2024 წლის 17 აპრილის №01-06-02/05 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:**

1. მოწონებული იქნეს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი - „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N133/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომელიც ითვალისწინებს სამინისტროს დასახელების ცვლილებასთან, უნივერსიტეტის რექტორის მოადგილეების და სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებით წესდების შესაბამის ნორმებში ცვლილების შეტანას;
2. პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად წარედგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს (დანართი);
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**